ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2913772

ნომერი: AR1450906

თარიღი : 24.10.2016

გაცემის თარიღი : 01.11.2016

გაცნობის თარიღი : 01.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 49 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე მიქაძე პ/ნ 01014000569
- თბილისი ბოდბეს ქ. N 6 ბ. 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.08.2016 წ. №2799661 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 24/10/2016 წ. # AR1450906 განაცხადით მომართა ალექსანდრე მიქაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 26.08.2016 წ. №2799661

ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.08.2016 წ. №2799661 ბრძანებით, ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №01.18.06.001.014), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 26.08.2016 წლიდან 26.02.2018 წლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის I სართულის გეგმაზე (-3.11 ნიშნულზე) გამორჩენილია კომერციული ფართის დასახელების ტექსტი ნუმერაციის მითითებით (კომერციული ფართი N1 და კომერციული ფართი N2).
სამსახურმა საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი I სართულის გეგმა -3.11 ნიშნულზე შეესაბამება შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.08.2016 წ. №2799661 ბრძანებით შეთანხმებული I სართულის გეგმაზე (-3.11 ნიშნულზე) გაასწოროს დაშვებული ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.08.2016 წ. №2799661 ბრძანებით შეთანხმებული I სართულის გეგმა -3.11 ნიშნულზე ჩანაცვლდეს 24/10/2016 წ. # AR1450906 განცხადებით წარმოდგენილი I სართულის გეგმით (-3.11 ნიშნულზე).
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.08.2016 წ. №2799661 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.